ა. შაყულაშვილი - ასოცირებულ პროფესორი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ეკონომიკური ზრდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში

აბსტრაქტი

ნაშრომში მოცემულია განვითარებული ქვეყნების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ტალღების ციკლების არსებობა, რომელთა ხანგრძლივობა 50 წელს გრძელდება. და რომლებსაც საერთო მსოფლიო ხასიათი გააჩნიათ. (კონდრატიევის ციკლები).

კონდრატიევის ციკლებს საინვესტიციო ბუნება აქვთ და უშუალოდ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან არიან დაკავშირებულნი, როცა ბევრ განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დარგების ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში დღემდე მაღალია.

ნაშრომში მოცემულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეროვნული შემოსავალს შორის განსხვავებაც, რაც დაკავშირებულია განვითარებადი ქვეყნების დაბალ კონკურენტუნარიანობაზე, უკიდურესად დაბალ ხელფასზე და ცუდ სამუშაო პირობებზე. მაშინ, როდესაც მათ მიერ დამზადებული საქონლით დასავლეთის მთელი რიგი პოპულარული მაღაზიები თავს იწონებენ. ამ დროს მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილი მუდმივ კრიზისშია, რაც დამოკიდებულია უქსპლოატაციის ხარისხზე.

საკვანძო სიტყვები - ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური ვარდნა, კონდრატიევის დიდი ციკლები, შრომის მწარმოებლურობა.

A. Shakulashvili – Associate Professor

LEPL Samtskhe-Javakheti State University,

The faculty of business administration

Economic Growth in Developed and Developing Countries

An Abstract

The paper overviews existence of the short-term, mid- and long-term wave cycles of the developed countries lasting for 50 years and having general global nature (Kondratyev Cycles).

The Cycles of Kondratyev have the investment nature and is directly linked to the scientific and technical progress, while the share of the agriculture in many developing countries against Gross Domestic Product is still high.

The paper demonstrates the difference of the national income between developed and developing countries linked to the low competitiveness of the developing countries, on extremely low wages and poor working conditions there. While a number of popular stores in the West are proud of their products. At this time, a large part of the world's population is in constant crisis, depending on the degree of exploitation.

Key words - Economic growth, Economic development, economic decline, Kondratiev super cycles, labor productivity.

შესავალი

XX - საუკუნის პირველ მეოთხედში გამოჩენილმა ეკონომისტმა ნ.დ. კონდრატიევმა შეისწავლა მსოფლიო მერუნეობის ეკონომიკური ციკლები და მიღებულის შედეგების საფუძველზე დაასკვნა, რომ საშუალოვადიან და მოკლევადიან

ციკლებთან ერთად არსებობს გრძელვადიანი ტალღების ციკლები, რომელთა ხანგრძლივობა 50 წელია და მსოფლიო ხასიათი გააჩნიათ.

ციკლებს საინვესტიციო ბუნება გააჩნიათ და უშუალოდ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან არიან დაკავშირებულები.

1807-1907 წლების დასაწყისიდან

1810-1851 წლები პირველი ეკონომიკური ციკლი დაკავშირებული იყო სამრეწველო რევოლუციასთან და ღრმა ცვლილებებთან ინგლისის და ევროპის სხვა ქვეყნების წარმოებით ურთიერთობაში.

1851 წლიდან 1896 წლამდე მსოფლიო მეორე ეკონომიკური კრიზისი დაკავშირებული იყო უმსხვილესი ტექნიკური გამოგონებებით მრეწველობის ახალი დარგების განვითარებით (სარკინიგზო მშენებლობა, საზღვაო ტრანსპორტის განვითარება).

1890 წლიდან 1920 წლამდე მსოფლიო მესამე ეკონომიკური კრიზისი დაკავშირებული იყო ახალ სამრეწველო რევოლუციასთან ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობის დარგების განვითარებასთან.

თანამედროვე სპეციალისტების აზრით, მეოთხე ციკლის აღამავალი ტალღა დაიწყო 1950-იან წლებში იმ საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რომელსაც განაპირობებდა მიღწევები ელექტრონულ მრეწველობაში, პლასტიკური მასალების წარმოებაში, მედიცინაში, საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

მრავალ განვითარებულ ქვეყნებში 1990-იანი წლების ეკონომიკური ვარდნა ქვეყნების სპეციფიკური შოკებით და ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებით იყო გამოწვეული.

XX - საუკუნის ბოლო მეოთხედში განვითარებად ქვეყნებშიც გამოჩნდა საქმიანი ციკლები. ისინი სინქრონულად მიმდინარეობდნენ კაპიტალისტური ქვეყნების

ციკლებთან, მაგრამ გარკვეული განსხვავებებიც შეიმჩნეოდა, განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნებოდა ზრდის ტემპის შენელება მაშინ, როდესაც ეს პროცესი განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური აღმავლობით ხასიათდებოდა.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიო მეურნეობის მიზანია მსოფლიოს მოსახლეობის მზარდი მატერიალური და სულერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, პერიოდული ვარდნების მიუხედავად თანამედროვე საზოგადოება მიისწრაფვის მდგრადი საზოგადოებრივი განვითარებისაკენ, რომლის ამოცანებია : ეკონომიკაში ზრდა, ეფექტურობა და სატაბილურობა სოციალურ სფეროში - სამართლიანობა, მშვიდობა, შესაძლებლობების თანასწორობა, დემოკრატია, ეროვნული კულტურების შენარჩუნება, ეკოლოგიის სფეროში - ჯანსაღი გარემო **(გუროვა 2014:376).**

დღეისათვის განვითარებული ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება დაახლოებით 40 ქვეყანა. ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ კერძო საკუთრებაზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკა, განვითარებული ინდუსტრიული სექტორის, წარმოების საშუალებათა წარმოება, რამაც გამოიწვია შრომის მწარმებლურობის მაღალი დონე. განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი.

განვითარებადი ქვეყნების ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია იგი მოიცავს 125 ქვეყანას. მათი სამეურნეო საქმიანობა ძირითადად ეფუძნება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. გადამამუშავებელი მრეწველობა განივთარებულია სუსტად. ამ ქვეყნებში შრომის მწარმოებლურობა არასკმარისი ფონშეიარაღების გამო დაბალ დონეზე რჩება, როგორც მუსი ისინი დამოკიდებულები არიან რომელიმე ერთი სახის პროდუქციის წარმოებაზე და მის ექსპორტზე. რაც საშუალებას აძლევს მათ მიიღონ აუცილებელი სავალუტო შემოსავლები, მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იმ საქონლის შემოსატანად, რომელიც მათ ქვეყანაში არ იწარომება.

მრეწველურად განვითარებული ქვეყნებში ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 15.1%. მათზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 55.1 %, და მსოფლიო ვაჭრობის 65%.

განვითარებადი ქვეყნები შედგება ისეთი ქვეყნებისაგან, რომლებიც მკვეთრად განსვავდება განვითარებული ქვენყებისაგან მრავალი ეკონომიკური ნიშნით. განსაკუთრებით მათ აქვთ მაღალი საგარეო ვალი, რომელიც მოიცავს მსოფლიოს უღატაკეს 35 ქვეყანას. მათში ცხოვრობს მსფოლიოს მოსახლეობის 8%, მათზე მოდის მ.შ.პ-ის მხოლოდ 0.9%, ხოლო საქონლის და მომსახურების მსოფლიო ვაჭრობის 0.5%. ისინი ხასიათდებიან ადამიანური განვითარების შემოსავლების დაბალი დონით.

განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა უფრო მაღალი წარმადობისაა ვიდრე განვითარებად ქვეყნებში.

განვითარებად ქვეყნებს უფრო მაღალი წილი გააჩნიათ შრომატევად და მასალატევად დარგებში. ეს ქვეყნები ჩამორჩებიან განვითარებულ ქვეყნებს კაპიტალტევადი და ტექნოლოგიურად ინტენსიურ რესურსტევად დარგებში. მსოფლიო მეურნეობაში შენარჩუენბულია მომსახურების განსაკუთრებით ფინანსური მომსახურების სექტორში ქვეყნებს შორის სხვაობა. ამიტომ განვითარებად ქვეყნებს კაპიტალის დაგროვების წყაროები არ გააჩნიათ. რომელთა ეკონომიკა მხოლოდ საარსებოდ საჭირო საშუალებებს აწარმოებენ და გარდაქმნას არ ექვემდებარებიან, რადგან წარმოების დონე იმდენად დაბალია, რომ შეუძლებელი ხდება ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო დანაზოგის შექმნა. მშპ-ის მნშვნელოვანი ნაწილი მიმდინარე მოხმარებლისათვის არის განკუთვნილი მათი დანაზოგები კი საკმარისი არ არის კაპიტალის დაგროვებისა და წარმოების გაფართოებისთვის.

ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე გავლენას ახდენს არა ეკონომიკური ფაქტორების რიცხვი (ისტორიული, გეოგრაფიული, ინსტიტუტები თავისებურებანი.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია, მრავალ განვითარებად ქვეყნებში შენარჩუნებულია ქალების და მამაკაცების უთანასწორობა, უღარიბესი ქვეყნები მოკლებული არიან აუცილებელ ცოდნასა და ტექნოლოგიებს.

დღეისათვის განვითარებადი ქვეყნების ძირითადი პრობლემა სიღარიბეა, რისი მიზეზიც არის ინდუსტრიულად განვითარებულ ეკონომიკებთან შედარებით განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა თანამედროვე ინდუსტრიისთვის აუცილებელი წარმოების ფაქტორებით - კაპიტალითა და კვალიფიცირებული მუშახელით ღარიბია. აღნიშნული ფაქტორების სიმწირე მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის დაბალ დონეს იწვევს და ხშირად განვითარებად ქვეყნებს მასშტაბის ეკონომიკის მიღწევაში ხელს უშლის, რომლისგანაც ხშირად განვითარებული ქვეყნები სარგებლობენ. თუმცა ფაქტორთა დეფიციტი ხშირად უფრო ღრმა პრობლემების სიმპომია. პოლიტიკური არასტაბილურობა, საკუთრების უფლების დაცვის გარანტიის არ არსებობა და არასწორად წარმართული ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად ინვესტიციების განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორია, და იმავდროულად ეკონომიკურ ეფექტიანობას სხვა მხრივაც ამცირებს **(კრუგმანი 2017, 671).**

განვითარებადი ქვეყნების მაკროეკონომიკური პრობლემების გასაანალიზებლად აუცილებელია ყურადღება არ მივაქციოთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფინანსურ ნაკადებზე დამოკიდებულება საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამამულო დონეზე ინვესტიციების განსახორციელებლად. ფაქტიურად ინვესტირების რისკი განვითარებად ქვეყნებში ამცირებს მათ მიმზიდველობას როგორც უცხოური, ასევე სამამულო ინვესტორებისათვის, რაც იწვევს ზრდის ძალიან დაბალ დონეს **(კრუგმანი 2017, 703)**

გეოგრაფიული თეორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი კალიფორნიის ლოსანჯელესის უნივერსიტეტის გეოგრაფ ჯ.დაიმონდის თეორიის მიხედვით ქვეყნის ფიზიკური გარემოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა კლიმატი, ნიადაგის ტიპი, დაავადებები და გეოგრაფიული მდგომარეობა მის გრძელვადიან ეკონომიკურ შედეგებს განაპირობებენ. მაგალითად არასახარბიელო კლიმატის, მსხვილფეხა შინაური ცხოველების არ არსებობის, ყვითელი ცხელების და მალარიის გამო ტროპიკული რეგიონები ჩამორჩებიან, ევროპის ზოგიერთ რეგიოენბს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში **(კრუგმანი 2017, 703).**

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები განსხვავდებიან თანამედროვე სტრუქტურული ცვლილებების ხასიათით და მიმართულებით. განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც ინდუსტრიალიზაციას ახორციელებენ დამახასიათებელია გადამამუშავებელი მრეწველობის ზრდის მაღალი ტემპი, მაგრამ ეს ძირითადად ლითონტევადი და შრომატევადი წარმოებებია, რომლებიც არ იწვევენ დამატებუთი ღირებულების ზრდას.

განვითარებული ქვეყნები კარგავენ კონკურენტუნარიანობას შრომატევად, მასალატევად, რესურსტევად დარგებში, მაგრამ ინარჩუენებენ ლიდერობას ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურ, მეცნიერებატევად და კაპიტალტევად დარგებში, და იკავებენ მსოფლიო მეურნეობის დამატებული ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს **(მაკკონელი და ბრიუ 1993, 483).**

ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციები. ისინი არა მხოლოდ ზრდიან ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობებს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში და იწვევენ რესურსების მწარმოებლურობის ზრდას, არამედ ზრდიან ერთობლივ მოთხოვნას და ეროვნულ შემოსავალს. ეროვნული შემოსავლის ზრდა თავის მხრივ იწვევს დანაზოგთა ზრდას და ამით უზრუნველყოფს კაპიტალის დაგროვების დაფინანსებას, მაგრამ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რომლებსაც კაპიტალის დაგროვების წყაროები არ გააჩნიათ (ღარიბი განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობა) და რომელთა ეკონომიკა მხოლოდ საარსებოდ საჭირო საშუალებებს აწარმოებენ გარდაქმნას არ ექვემდებარებიან, რადგან წარმოების დონე იმდენად დაბალია, რომ შეუძლებელი ხდება ზრდისთვის საჭირო მნიშვნელოვანი დანაზოგების შექმნა.

მშპ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმდინარე მოხმარებისთვის არის განკუთვნილი, უმნიშვნელო დანაზოგები კი საკმარისი არ არის კაპიტალის დაგროვებისა და წარმოების გაფართოებისათვის.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ოდენობა და ხარისხი მათი ეკონომიკური ზრდის წინაპირობებია - (ერთობლივი მოთხოვნის და ბაზრის ტევადობის დონე,

ეკონომიკის გახსნილობა, საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბების დონე, ისტროიული, პოლიტიკური და გეოგრაფიული თავისებურებები).

გლობალური განვითარების პროცესები ღირებულებას კომპლექსურ ხასიათს ეკონომიკურ მაჩვენელებთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს ენიჭება.

დასკვნა

მსოფლიო მეურნეობა ექვემდებარება ციკლურ რყევებს. "დიდი ციკლები" 50-წლიანი ხანგრძლიოვობით მსოფლიო ხასიათისაა. მათ საფუძველს შედგენს საინსვესტიციო შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან.

8-10 - წლიანი ხანგრძლივობის მქონე საქმიან ციკლებს აქვს საინვესტიციო ბუნება, რყევების მიზეზები შეიძლება გახდეს მოთხოვნისა და მიწოდების შოკი.

განვითარებული ქვეყნების ჯგუფში საქმიანი ციკლები, როგორც წესი მიმდინარეობს სინქრონულად. დაცემის და აღმავლობის პერიოდები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში შეიძლება არ ემთხვეოდეს, რადგან განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების ცხოვრებაში აღმავლობის პერიოდები არ შეიმჩნევა. ისინი "მარადიულ" კრიზისში იმყოფებიან, რაც დამოკიდებულია ექსპლოატაციის ხარისხზე, ექსპლოატაციის ხანგრძლივობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. პ. გუროვა. მსოფლიო ეკონომიკა, სახელმძღვანელო თბილისი 2014.
2. კრუგმანი, ობსტფელდი, მელიტცი. საერთაშორისო ეკონომიკა, თბილისი 2017.
3. კემბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკსის ნაწილი 1, IV, თბილისი გამომცემლობა სამშობლო 1993.